სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/109

ქ.რუსთავი 1 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი ტაბატაძეს სახით და მეორეს მხრივ, შპს „გეორგინა" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ციცინო ფუტკარაძეს სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის (გადაუდებელი აუცილებლობა) და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №943 თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე" - ,,შემსყიდველი" ან/და ,,მიმწოდებელი".

1.7 ,,საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 2 ცალი სეიფის შემენა დანართი №1-ს შესაბამისად (CPV44400000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1400 (ერთი ათას ოთხასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს „გეორგინა"-ს წარმომადგენილი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) საქონლის დასახელება;

ბ) საქონლის ღირებულება;

გ) საქონლის რაოდენობა.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწიდების ადგილი: ქ. რუსთავი კოსტავას №20.

6.2 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღე.

შემსყიდველი მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში;

ბ) წუნის (დეფექტის) შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დეფექტური საქონლის შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი (წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სახით)

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,3%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **3%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	შპს „გეორგინა“
მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი№20	მის: ქ.თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №89
საიდენტიფიკაციო კოდი №216433287	საიდენტიფიკაციო კოდი №202192509
სს „ლიბერთი ბანკი''	სს „პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ № LBRTGE22	ბ/კ №MIBGGE22
ა /ა №GE78LB0125148543037000	ა\ ა №GE03PC0133600100037617
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის	შპს „ გეორგინა“-ს დირექტორი
პირველი მოადგილე	
გიორგი ტაბატაძე	*გიორგი ფუტკარაძე*

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: **სოფიო კარანაძე**

დანართი №1

№	საქონლის აღწერა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	ცეცხლგამძლე სეიფი	1	1100	1100
2	სეიფი 30ZB	1	300	300
	სულ			1400

შპს „გეორგინა"-ს დირექტორი

ციცინო ფუტკარაძე

საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი
გრძანება №943

2014 წლის 28 ნოემბერი

საქართველო, ქალაქი რუსთავი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-19 მუხლის „გ" პუნქტის, 48–ე მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელეტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 გრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N139 განკარგულების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გადაუდებელი აუცილებელობიდან გამომდინარე, სამსახურეობრივი საჭიროების მიზნით, განხორციელდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისათვის 1(ერთი) ცალი პროფესიონალური ფოტოაპარატის, ფოტოაპარატის აქსესუარების (ფოტოაპარატის განათება,SD Card) და 2(ორი) ცალი სეიფის გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ზესმოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტანქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ტაბატაძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №139

25 ნოემბერი 2014 წელი

ქალაქი რუსთავი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.3“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10¹ მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 18 ნოემბრის N3822/1 წერილის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს გადაუდებელ აუცილებლობიდან გამომდინარე, განახორციელოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტ საკრებულოს აპარატისთვის სამსახურეობრივი საჭიროების მიზნით 1 (ერთი) ცალ პროფესიონალური ფოტოაპარატის, ფოტოაპარატის აქსესუარების (ფოტოაპარატ განათება, SD Card) და 2 (ორი) ცალი სეიფის გამარტივებული შესყიდვა.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლო (რუსთავი, ზოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თ ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე